ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №759413

ნომერი: AR1140407

თარიღი : 21.06.2013

გაცემის თარიღი : 12.07.2013

გაცნობის თარიღი : 22.07.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წყალტუბო , N 25 / ქალაქი თბილისი , აგლაძესა და მირცხულავას , ქუჩების გადაკვეთაზე , /წყალტუბოს ქუჩა N25 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ როინიშვილი პ/ნ 01009014164
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 35 ბ. 48

ორგანიზაცია:
- შპს GREEN LINE COMPANY კოდი: 404385768

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04/12/2013 წლის №636870 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

06/21/2013 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს AR1140407 განცხადებით მომართა ნიკოლოზ როინიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 04/12/2013 წლის №636870 ბრძანებაში, კერძოდ: ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 04/12/2013 წ. №636870 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, წყალტუბოს ქ. №25-ში / აგლაძისა და მირცხულავას ქუჩების გადაკვეთაზე, შპს „GREENLINE COMPANY“ -ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.04.018.041), მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდა დამკვეთის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის შესაბამისად. ახალ განაცხადში დამკვეთი განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ აქტში არასწორად არის მითითებული კომერციული, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართი, რაც ასევე გავლენას ახდენს საერთო ფართზე.
სამსახურმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა საარქივო მასალას და დაადგინა, რომ დამკვეთის მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილება და დამატება მის მიერ გამოცემულ აქტში.
შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის საფუძველზე და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ №636870 აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე, 96–ე, მე–100 მუხლების თანახმად,
ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04/12/2013 წლის №636870 ბრძანებაში, კერძოდ:
საცხოვრებელი ფართი---------- 3101.3 კვ.მ
საზაფხულო ფართი---------- 319.2 კვ.მ
ავტოფარეხის ფართი---------- 381.4 კვ.მ
კომერციული ფართი---------- 361.4 კვ.მ
სადარბაზოს ფართი---------- 472.0 კვ.მ
საერთო ფართი ---------- 4635.3 კვ.მ
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04/12/2013 წლის №636870 ბრძანებასან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში